პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ნოემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევის მონაკვეთისთვის ელისაბედ ორბელიანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს ელისაბედ ორბელიანის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

17 / ოქტომბერი / 2025 წ.

KA011775050652825

№ 236304

06-032529063-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 13 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) წარედგინა მაია დეკანოსიძის (პირადი ნომერი 01017037075) № M25013548 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში მისამართის დაზუსტება უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით - 01.17.09.024.015. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია - ქალაქი თბილისი, ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევი N9ა, რომლის მიმდებარედ სააგენტოს სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი შემდეგი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, ნავთლუღის I დასახლების შესახვევი“.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული გზის მონაკვეთის (რუკაზე მონიშნულია ყვითელი ფერით) სახელწოდების შესახებ.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სიტუაციური რუკა
ქალაქი თბილისი
N
1:200
0
10
20
40
60
80
მეტრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/29179279**
თარიღი: **23/10/2025**

ადრესატი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ.2

სამისამართო დეპარტამენტის უფროსს ნინო ბახიას

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2025 წლის 17 ოქტომბრის #06-032529063-03 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა საკითხი და დგინდება, რომ განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეული მდებარეობს ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევში (იხ.დანართი). აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი გეგმარებითად ესაზღვრება ელისაბედ ორბელიანის ქუჩას და პარამეტრების შესაბამისად განეკუთვნება ჩიხს. კომისია უახლოეს პერიოდში მოახდენს არსებული უზუსტობის აღმოფხვრას და დაიწყებს საქმისწარმოების პროცესს ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევის მონაკვეთისთვის ელისაბედ ორბელიანის I ჩიხის სახელის მინიჭების მიზნით.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032532944**
თარიღი: **25/11/2025**

ადრესატი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მისამართი: წმ. ნიკოლოზის / ნ. ჩხეიძის ქ. 2

სამისამართო დეპარტამენტის უფროსს ნინო ბახიას

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2025 წლის 17 ოქტომბრის #06-032529063-03 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა საკითხი და დგინდება, რომ განცხადებაში მითითებული საკადასტრო ერთეული მდებარეობს ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევში (იხ.დანართი). აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი გეგმარებითად ესაზღვრება ელისაბედ ორბელიანის ქუჩას და პარამეტრების შესაბამისად განეკუთვნება ჩიხს. კომისია უახლოეს პერიოდში მოახდენს არსებული უზუსტობის აღმოფხვრას და დაიწყებს საქმისწარმოების პროცესს ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევის მონაკვეთისთვის ელისაბედ ორბელიანის I ჩიხის სახელის მინიჭების მიზნით.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი